საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მეორე ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 8 დეკემბერი, 2023 წელი

დრო: 16:00 - 17:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. დათო ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
3. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
4. გივი ქოჩორაძე - კვლევების ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
5. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
6. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
7. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაი"
8. გიორგი ჭუმბურიძე - ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი ქუთაისი
9. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ,,ელკანა"
10. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
11. ეკა ბარამიძე - ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
12. ირაკლი ქასრაშვილი - მერსი ქორფსი
13. ზვიად ელიზიანი - საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი

განსახილველი საკითხები:

- ✓ ევროკომისიის მიერ გაცემული 12 რეკომენდაცია საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად;
- ✓ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამებსა და ინსტრუმენტებში საქართველოს მიერთების საკითხებში მიღწეული შედეგი, პერსპექტივები და მიმდინარე გამოწვევები;
- ✓ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და არასამთავრობო სექტორის მიერ სამუშაო ფორმატის ჩამოყალიბება და გადაწყვეტილებების მიღებაში არასამთავრობო სექტორის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.
- ✓ ეროვნული პლატფორმის საერთო კრება და არჩევნები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა, მეორე ჯგუფის კოორდინატორმა, დავით ცისკარიძემ. მან მოკლედ მიმოიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.
თავდაპირველად მან ისაუბრა 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების პროცესში მიღწეული პროგრესის, ევროკომისიის დადებითი რეკომენდაციის კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილა იმ 9 მიმართულებაზე, რომელიც ახალი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის.

მეორე საკითხად იმსჯელეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამებსა და ინსტრუმენტებში საქართველოს მიერთების საკითხებში მიღწეულ შედეგებზე, პერსპექტივებსა და მიმდინარე გამოწვევებზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, კერძო სექტორის შესაძლებლობების გაზრდა და ჩართულობა არ არის სრულყოფილი და სრულფასოვანი. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები, მათი მანდატის ფარგლებში, აქტიურად ახორციელებდნენ ადვოკატირების კამპანიებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში საქართველოს მიერთების საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად როგორიცაა პროგრამა „COSME“. მიმართვები გაკეთდა ეკონომიკის სამინისტროსთან, კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრებზე. მუდმივად ხდებოდა ამ საკითხის დასმა, ასევე ეროვნული პლატფორმის მიერ მომზადდა წერილი პრემიერ მინისტრის სახელზეც. ამ აქტიური კამპანიის საფუძველზე, დღეს უკვე მიღწეულია ჩვენი მიზანი.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წარმატებული მაგალითის მიუხედავად არის პროგრამები, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიერთებია საქართველო. ეს პროგრამები ბევრ სიკეთეებსა და სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყანას.

სამუშაო ჯგიუფის წევრემა, გივი ქოჩორაძემ, რომელიც არის ჰორიზონტი ევროპის საკონაქტო პირი, ისაუბრა განათლების სამინისტროს მიერ გახსნილ ჰორიზონტ ევროპის ოფისზე საქართველოში, რომელშიც საქმიანობენ საკონტაქტო პირები. მსგავსი პროექტი ფუნქციონირებს ევოპაში. ამათან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო შეუერთდეს დიჯითალ ევროპის პროგრამას, ასევე ძალიან არის პროექტები, რომელიც მეტად წაადგება ქვეყანას და მნიშვნელოვანია ამ რესურსების გამოყენება.

მეორე ჯგუფის ფარგლებში, აუცილებელია ჯგუფმა გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით, რომელიც გულისხმობს საქართველოს მიერთებას სხვადასხვა პროექტებსა და ფორმატებში.

მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, კონსტანტინე ჟღენტმა, ისაუბრა იმ ინსტრუმენტებზე, რომელიც არსებობს სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ ახალმა კოორდინატორებმა გააგრძელონ და გააღრმავონ სამუშაო პროცესი სახელმწიფო სტრუქტურებთან. მნიშვნელოვანი იქნება დაისვას სამუშაო ჯგუიფების ჩამოყალიბების საკითხი პარლამენტთან. ასევე, მთავრობის მიერ შემუშავებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგია 2020 იქნება გადასახედი, რადგან დოკუმენტში არსებული მიდგომები არ არის რელევანტური არსებულ რეალობასთან. მნიშვნელოვანია სექტორული სამუშაო შეხვედრების გააქტიურება ჯგუფის კოორდინირებული მუშაობის ფარგლებში.
სამუშაო ჯგუფის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს სამუშო ჯგუფის ფუნქციონირებისა და ინტენსივობის მნიშვნელობაზე. სამომავლოდ მეტად მნიშვნელოვანი იქნება, რომ სამუშაო ჯგუფის შეხვედრები გახდეს მეტად ინტენსიური, ჯგუფის წევრები აქტიურად იყვნენ წარმოადგენილები და გაძლიერდეს ჯგუფების მუშაობა.

შეხვედრაზე, დაასახელეს მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორების კანდიდატები, რომელიც წარედგინება საერთო კრებას, ესენია:

1. გიორგი ჭუმბურიძე - ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი ქუთაისი
2. ზვიად ელიზიანი - საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
3. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“

ასევე, უშუალოდ კრებაზეც იქნება შესაძლებელი კოორდინატორობის კანდიდატების დასახელება.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე